ფასი 60 კაპ.

ახალი ნაკადი

საქართველოს მემარცხნე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიისა.

ორშაბათი, 10 თებერვალი.

№ 7 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი ამ თავითვე გამოვა კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 60 კაპ.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა დროებით მიიღება „ქართულ ბეჭდვითი ამხანაგობის“ კანტორაში ბ. **ანტიოხ სტურუასთან** (გოლოვინის პრ., 26) და მუშტაიდის ქ., № 15, მუშათა კლუბში **ალექ. იოსელიანთან**. აქვე შეიძლება რედაქციის მდივნის ნახვა.

დედა-ქალაქი, თებერვალის 10.

დამფუძნებელი კრების წინ.

მგონი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ჩაუგდია საფრთხეში სოციალიზმის იდეა ისე, როგორადაც ეს სოც. დემოკრატიამ ჩაიდინა. ეს პარტია არ ყოფილა ნამდვილი რევოლიუციონური დასავლეთ-ევროპაში, იგი არ არის რევოლიუციონერი არც ჩვენს პატარა რესპუბლიკაშიდ. მისი გზა სოციალიზმისკენ მუდამ ყოფ გზა პარლამენტარიზმისა და რეფორმებისა, რომელიც კლასთა შორის სოლიდარობასა და შეკავშირებას უფრო ემსახურება, ვიდრე კლასთა შორის წინააღმდეგობის გამოაშკარავებას ასეთი მსვლელობა უმწვერვალესობამდე მოიყვანა ჩვენში, სადაც თვისი უაღრესად ბურჟუაზიული რეფორმების დაკანონებით, ნიადაგი მოუმზადა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს და მით რამოდენიმე წლებით უკან დასწია სოციალიზმის განხორციელების შესაძლობა. ასეთივე რეფორმისტულ გზას ვერ ასცდა მეორე „სარევოლიუციო“ პარტია ფედერალისტებისა, რაღაი ერთხელვე ამ პარტიამ ფეხი შესდგა პარლამენტარულ გზაზე, იგი სავსებით დავმორჩილა ვიწრო დემოკრატიულ რეფორმების მოთხოვნას. ვიდრე ფართო სოციალისტურ ნიადაგის შემზადებას, და ეს გასაკვირველიც არ არის ეს პარტია წმინდა ეროვნული პარტიაა. და დღეს ამ საერთაშორისო რევოლიუციის ხანაში გარკვეული გეზი ველარ აუღია ცხოვრებას და იგი სავსებით დაემორჩილა სოც. დემოკრატებს და მით გაიზიარა ყველა ის შეცდომები სოციალიზმისა და მშრომელი ხალხის „წინაშე, რაც სოც. დემოკრატიამ ჩაიდინა.

სოციალიზმი წმინდა ეკონომიურ მოვლენათა შედეგია, იგი არსებითად კლასიური მოვლენაა და ის პარტია, რომელიც თავის სამოქმედოთ მხოლოდ პარლამენტსა და რეფორმებს აღიარებს, იგი არსებითად ღალატობს სოციალიზმს და მით საფრთხეში აგდებს მუშათა ხალხს.

დღეს ქართველი მშრომელი ხალხი დამფუძნებელ კრების არჩევნების წინა სდგას, და არ უნდა დაივიწყოს, რომ ვერავითარი დამფუძნებელი კრება ვერ აღმოფხვრის იმ სოციალურ უთანასწორობას, რომელიც დღეს არსებობს, თუ თვით მშრომელი ხალხი არ იქნა მუდმივი დარაჯი თვისი ინტერესებისა.

დასავლეთ-ევროპის მუშათა ხალხის ნაწილმა, კარგა ხანია შეიგნო ეს მოვლენა და იგი დღეს უკვე სკეპტიკურად უყურებს ყოველგვარ პარლამენტსა და რეფორმებს

და თუ დღეს ქართველი მშრომელი ხალხი იღებს მონაწილეობას დამფუძნებელ კრების არჩევნებში, ამას აიძულებს გარდუვალი ობიექტიური პირობები, სადაც მისი ეროვნული თავისუფლება ჯერ კიდევ განუმტკიცებელია, ქართველი მშრომელი ხალხის განვითარება კი მის ეროვნულ ფარგლებში უფრო უმტკივნეულ იქნება, ვიდრე მის გარეშე.

მაშ ფხიზლად მშრომელო ხალხნო! საარჩევნო ყუთთან მისული უნდა იცოდეთ, რომ ამით მოიხადეთ ერთი ვალი და უფრო მეტის გაკეთება კი ისევ თქვენ მარჯვენაზეა დამოკიდებული.

ფენიშვნები

I

შეიძლება არც ერთი მეცნიერული ტრაქტატი, ან და სქელ ტანიანი წიგნი არ იყოს ისე გამოსადეგი პოლიტიკურ ცხოვრებისთვის, როგორადაც საღი დაკვირვება ცხოვრების მიმდინარეობისა, რადგან არაფერი არ არის დაახლოვებული ცხოვრებასთან ისე ძლიერ, როგორადაც პოლიტიკა.

ჩვენ ვერავითარ კანონებს დაუწერთ ცხოვრებას განყენებულად, არამედ ჩვენი დასკვნა და მომავლის პერსპექტივები უნდა თვით რეალურ ცხოვრებიდგან გამომდინარეობდეს. თუ თქვენ გსურსთ შეიმუშავოთ რაიმე ლამაზი იდეალი, შეჰქმნათ წარმტაცი სილუეტები მომავლისა, ამაოდ დაუწყებთ მას ძებნას პოლიტიკურ ცხოვრებაში; აქ ყველაფერი განსაზღვრულია, თუ შეიძლება ზედმეტად რეალური და ტლანქია.

ეს ჩვენ დიდი გარდაქმნის ხანაში ვცხოვრობთ, ამას გრძნობს ყოველი მოქალაქე, დაწყებული ღრმად განსწავლულ პოლიტიკოსიდგან და გათავებული წელში მოხრილი სოფლის გლეხით, ბევრი განყენებულად შექმნილი იდეები დაიმსხვრა, ბევრ ჩვენ ჰუმანიურ სურვილებს შეეკვეცა ფრთები. ომმა და რევოლიუციამ სასტიკად დაანგრია ჩვენი პროგრამები თბილ ოთახებში რომ იყო შედგენილი. ჩვენი პარტიის გაყოფაც ეს მხოლოდ უბრალო წვეთია იმ საერთო გარდაქმნაში, რომელსაც დღეს განიცდის ცხოვრება, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ჩვენი ყოფილი ამხანაგები არ იხედებიან ღრმად საქმეში, არ ეძებენ იმ აუცილებელ მიზეზებს, რომლებმაც წარმოშვეს ასეთი მოვლენა, მათ კი მხოლოდ ერთი პიროვნება ამოუღიათ თვალში და მისი ლანძღვით სურთ მოსპონ ის მოვლენა, რომელსაც გარდუვალი რეალური მიზეზები აქვს. რაც თუ გინდა ჩვენ გვრწამდეს პიროვნების როლი ისტორიაში იგი მაინც ძლიერ სუსტია განმარტოებულად აღებული, ყოვლად შეუძლებელია რომელიმე პიროვნებამ შეჰქმნას ის, რასაც თვით რეალურ ცხოვრებაში არ ექმნება თავისი გასამართლებელი მიზეზები. ამის შესახებ მართებთ ჩვენ ღრმად განსწავლულ „ამხანაგებს“ ჩაუკვირდენ ცხოვრებას და თავიანთ მოქმედებასა და პროგრამას ერთგვარი კანტროლი გაუკეთონ, მგონი ამას მოითხოვს საქმის ინტერესი და მომავლის ნაყოფიერი მუშაობა. ნუ იქმნება ფეტიშად დასახული ჩვენი პარტიის მთლიანობა, ნუ აშინებთ მათ პარტიის დანაწილება, დიდი ცოდვა, დიდი დანაშაული მხოლოდ ცხოვ-

ამხანაგებო, სოფლის და ქალაქის მუშებო!

თქვენს ინტერესებს დამფუძნებელ კრებაზე დაიცავს მხოლოდ მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტიის სია

9 №.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების ალღოს აუღებლობაა, სასტიკად დაისჯება ის ჯგუფი თუ პერტია, რომელიც მხოლოდღა წარსული მოქმედებით ამაყობს და ყოველი თავისი შეცდომები წარსულით სურს გამოიყიდოს; ცხოვრება მუზეუმი არ არის, რომ ყოველ სადღეისო, საჭირ-ბოროტო საკითხზე დახავსებულ წიგნებში დაუწყო ძებნა პასუხის გასაცემად; დაფასება მხოლოდ ისტორიას შეუძლია, დღეს კი ისტორია არ იწერება, არამედ სრულდება მოქმედებაში, აქტიობაში. ამისათვის ჩვენი ფეხები მაგრად უნდა იყოს დაყრდნობილი დედა-მიწაზე, ჩვენი თვალები კი სულ მუდამ მომავლისკენ უნდა იცქირებოდნენ და იმ შორეულ იდეალის და მიხედვით ვაფასებდეთ ცხოვრებას.

იმ მრავალ საკითხთა შორის, რომლის შესახებაც ჩვენ გვმართებს ჩაფიქრება, არის საკითხი ფედერაციისა, ეს საკითხი პრინციპიალურ საკითხათ არის წამოყენებული პარტიაში, მაგრამ დღემდის იგი ბუნდოვანი და გამოურკვეველია არა თუ პარტიის ჩვეულებრივ წევრთათვის, არამედ თვით ხელმძღვანელებისთვის. ფედერაცია—კავშირია, გეტყვის ყოველი სოც. ფედერალისტი და ამითი იწურება ამ პრინციპის შინაარსი. მაგრამ მე მგონი ამ საკითხს უფრო მეტი ნათელი მოეფინება, თუ რამდენიმეთ გავიხსენებთ ჩვენი პარტიის წარმოშვაში მთავარ ეტაპებს. სოც. ფედ პარტია განსაკუთრებულ პირობებში შეიქმნა, ეს იყო ხანა როცა ირგვლივ ეროვნული ნიპილიზმი იყო გამეფებული, როცა ერის უფლებაზე ლაპარაკი ისეთივე ცოდვათ ითვლებოდა, როგორადაც კაცის, კვლა მე 60 წლ. საუკეთესო მოღვაწეებს არ ქონდათ შემუშავებული გარკვეული პოლიტიკური გეზი, იგინი მხოლოდ ბუნდოვანათ გაიძახოდენ სამშობლოს სიყვარულს და რომანტიულ ცრემლებს ღვრიდნენ მის წარსულის შესახებ. 90 წლ. კი უკვე სამოქმედოთ გამოსულმა სოც. დემოკრატიამ აქტიური ბრძოლა გამოუცხადა ეროვნულ საკითხს, ეწირებოდა მსხვერპლად ერი რუსეთის ბიუროკრატიის ჯალათებს. და თვით საქართველოში მომქმედი პარტია ნიპილისტურად უცქეროდა ამ საკითხს. ასეთ პირობებში ქართველ ინტელიგენციაში უნდა დაბადებულიყო აზრი ერის გადარჩენისა მისი უფლების დაცვისა და ი ასეთ პარტიად გამოდის სოც.-ფედერალისტი. ეკვს გარეშეა, რომ ცენტრალურ საკითხად ეროვნული საკითხი იყო გამოცხადებული; სხვა საკითხები კი მხოლოდ დაკავშირებული იყო მის გარშემო, როგორც აუცილებელი საკითხები ეს პირობები არ უნდა დაგვავიწყდეს, როცა ჩვენი პროგრამის ამა თუ იმ საკითხს ვიხილავთ.

„ჩვენი სურვილი დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენა არ არის, ნათლალ და აშკარად ვამბობთ: ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება—განსაკუთრებულ, საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ სექმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთის სითყვით, ჩვეს გვსურს **ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ**“.

შემდეგი მოყვანილი ციტატიდგან მკითხველი დაინახავს. რომ ფედერაციის საკითხიც იყო წამოყენებული არა როგორც საერთო პრინციპიალური საკითხათ, არამედ როგორც დაკავშირებული ეროვნულ ავტონომია სადაც ავტონომიის უფლებები და არსებობა უფრო უზრუნველ ყოფილი იქნებოდა. და ეს ფედერაცია წამოყენებულ იყო მხოლოდ რუსეთის ფარგლებში. გაზეთი სწერს: რუსეთის წინაშე შემდეგი პრობლემაა; შემუშავება „იმ გვარ წესწყობილებისა, რომელიც, ერთის მხრივ მშვიდობასა და თანხმობას დაამყარებს ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის. ეს წესწყობილება, ჩვენის აზრით, რთულ დეცენტრალიზაციის სისტემაზე უნდა იყოს აგებული, ხოხ განმტკიცებული და განვითარებული დეცენტრალიზაცია რუსეთს ფედერატიულ წესწყობილებამდის მიმყვანს... ჩვენ, ქართველებს, გვინდა, რომ ჩვენი კერძოდ ეროვნულ ავტონომიის საკითხი მჭიდროთ არის არის დაკავშირებული ამ დიდ პრობლემასთან და ამიტომაც აღვძარით რუსეთის მომავალ ფედერაციის საკითხი“.

საზოგადოდ ფედერაცია, როგორც მიმართულება აღმოცენებულია ეროვნულ ნიადაგზე და ხშორედ ისეთ სახელმწიფოებში იჩენს თავს, სადაც პატარა ერების უფლებები შეკვეცილია ან და სადაც პოლიტიკურად არის დაყოფილი ერთი ერი და მათში აღიძვრის სურვილი ეროვნული გაერთიანებისა. და სწორედ ასეთივე ხასიათი ქონდა ფედერაციის საკითხის წაიოყენების ჩვენ პარტიაში, იგი **დაკავშირებული იყო ეროვ. ნულ ავტონომიასთან** და იმდენად ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენადაც ჩვენ ეროვნულ თავისუფლებას უზრუნველ ყოფდა.

ამ დიდ რევოლიუციამდე ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ აზრი ეს ალქიმაკისრების ოცნებას აღემატებოდა, და ამისთვის პირველად ფედერაციის საკითხი წამოყენებულ იქმნა რუსეთის ფარგლებში.

დღეს მდგომარეობა საქმის, არსებითად შეცვლილია, ცხოვრება რომ გაყინული იყოს, მაშინ ერთხელვე შემუშავებული ფორმულა უცვლელად შეგვეძლო დატოვება, მაგრამ სამედნიეროდ კაკოარიობის და საუბედუროთ ზოგიერთ გაყინულ დოქტრინიორების ცხოვრება გამუდმებული მოძრაობა და ცვალებადეობაა. დღეს ჩვენ, ნამდვილი სუვენელური სახელმწიფო გვაქ. საკითხავია, რა პრინციპიალურ მოსაზრებით შეგვიძლია დღეს დავადგეთ ისევ ძველ შეხედულებას და მოვითხოვოთ ფედერაცია რომელიმე სახელმწიფოებთან თუ გინდა ძველ რუსეთთან?

გავარკვიოთ მოკლედ ფედერალურ სახელმწიფოს იურიდიული სახე. დღეს მგონი არავისთვის საცილებელი აღარ არის, რომ ყოველი სახელმწიფოს განსაკუთრებული ხასიათი ეს მისი **სუვერენობაა** ფედერალურ სახელმწიფოში ნამდვილი სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს მხოლოდ ერი **ცენტრს** რომელიც ატარებს სუვერენობას, მაშასადამე კერძო შემადგენელი ერთეულები ამ მხრივ ჰკარგავენ თავიანთ სუვერენობას. იგინი აღარ წარმოადგენენ იურიდიულ სახელმწიფოს, მაშასადამე დღეს ჩვენი ფედერაციის მოთხოვნა ხელის აღება არის ჩვენ სუვერენობაზე.

მაგრამ მეტყვიან: ნუ თუ არ შეიძლება კავშირი სუვერენულ სახელმწიფოთა?—შესაძლებელია, მაგრამ აქ უკვე კონფედერაცია იქნება და როგორც ასეთი არავითარ იდეალს არ შეადგენს, რომ დემოკრატიულ პარტიამ იგი გაიხადოს თვის პრინციპიალურ საკითხათ. კონფედერაცია არ არის დამყარებული კონსტიტუციაზე, კანონებზე, არამედ ეს არის თავისუფალი ხელშეკრულება, და ორგორც ასეთი, უფლება ეძლევა არ დეთანხმოს საერთო გარდაწყვეტილებაში ამა თუ იმ საკითხის შესახებ, რადგან კონფედერაცია არის უფლებათა მიმართვა და არა იურიდიული სახე. აქ არ არის ისეთი უფლებრივი სახელმწიფოებრივი საშუალება, რითაც შეიძლება იძულებულ ჰყო კონფედერაციის შემადგენელი სახელმწიფო. და სწორედ ეს გარემოება, რომ მას არ აქვს აღმასრულებელი ძალა, წარმოადგენს ძლიერ სუსტ მხარეს კონფედერაციისას. ეს არის გაკვრით ის ნაკლი და თითქმის შეუძლებლობა კონფედერაცულ კავშირისა იმ ფარგლებში, როგორადაც ეს სოც.-ფედერალისტთა პარტიას სწამს. მაგრამ, რომ გადავხედოთ ამ პარტიის ისტორიას, ამ პრინციპსაც არ იცავდა იგი სავსებით, არამედ ისე, როგორც მოუხდებოდა. პირველად წამოყენებული იყო კავკასიის ფედერაციის საკითხი, შემდეგ კი ეს მოთხოვნილება მიაფუჩუჩეს და უკანასკნელ დროს მეორე თავისუფალ კონფერენციაზე, ამის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტად მიიჩნიეს, მხოლოდ აქა იქ წევრთა შორის გაისმოდა ბრაზიანი კილო ლაპარაკისა რა დროს კავკასიის ფედერაციაზე ლაპარაკი, რა საკითხები გვაქ ჩვენ საერთო კავკასიის ერებთანო, ასე ამგვარად პარტია სდგას სახელმწიფოებრივ ნიადაგზე. ატარებს სახელს ფედერალისტისას და იგი ზოგიერთ შემთხვევაში მის წინააღმდგ გამოდის. ასე—, რომ მკითხველი დაინახავს, რომ ყოველთვის ცენტრალური ადგილი პარტიაში ეროვნულ საკითხს ეჭირა. სოციალიზმი და ფედერალიზმი მხოლოდ ფარი იყო ეროვნულ საკითხის დასაცავად. თუ ვინმე მარცნივ შამოგვედავებოდა ჩვენ სოციალისტურ ფარს ვიშველიებდით და თუ ვიწრო ნაციონალისტობას და შოვინიზმს დაგვწამებდნენ ჩვენ ფედერაციისა და ერთა სოლიდარობას გავიმახოდით; ასე იარა პარტიამ დღევანდელ დიდ რევოლიუციამდე. დღეს კი ცხოვრებამ სასტიკად მოითხოვა ფარულ წინააღმდეგობათა გამოაშკარება. და ყოველივე საკითხი მზის გულზე გამოიტანა, ამისათვის სოც.-ფედერალისტთა პარტიას უხდება ან ხელი აიღოს ისეთ ფედერაციაზე, რომელიც უაღრესად ბურჟუაზიულ ინტერეს ატარებს და ან თუ ამ ფარგალში რჩება. მაშინ პირველი ფარი სოციალიზმი უნდა ჩამოიშორიოს. დღეს კი პირსაბურავით სია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! ხუთი დღის შემდეგ დაიწყება საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. თქვენი მოკალეობაა დაუყონებლივ შეუდგეთ გაცხოველებულ მუშაობას, რომ გამარჯვება მოუპოოთ მაშვრალთა სას

9 №.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ, როგორც სჩანს, იგი როგორც პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი პარტია, ისევ ბურჟუაზიულ ფედერალიზმის იდეოლოგად რჩება. ასეთი პოლიტიკა კი მშრომელი ხალხისთვის არა თუ, სასარგებლო არამედ უაღრესად საზარალო. ის ვინც სდგას ნამდვილ კლასიურ ნიადაგზე და იბრძვის მშრომელი ხალხის ინტერესებისთვის, მისთვის ფედერაცია შესაძლებელი და მიზანშეწონილია, მხოლოდ მშრომელ ამხანაგობათა და ორგანიზაციათა შორის და ასეთი ფედერაცია შესაძლებელია არა სახელმწიფოთა დაკავშირებით, არამედ მის გარეშე. და მის ჩაურევლად; ეს არის ნამდვილი სოციალისტური ფედერაცია და ყოველი ჭეშმარიტი სოციალისტური პარტია, რომლის ერთად ერთი მიზანი სოციალიზმის დამყარებაა, მის დამცველად გამოვა, ამას იცავდა „ინტერნაციონალში„ იურის ფედერაცია და მის დამცველად გამოვიდა ჩვენში გულწრფელი დემოკრატი და საღი მოაზროვანე მწერალი არჩილ ჯორჯაძე. ხოლო დღეს კი, მათ ვისაც თავი შეუფარებია ამ პიროვნებისთვის და ვისაც მხოლოდღა მისი ლამაზი სილიუტი ასულდგმულებს საცოდავად აკოწიწებს ორ მოწინააღმდეგი იდეას სოციალისტს და ბურჟუაზიულ ფედერალიზმს.

მანი.

ამხმნაგებო მუშებო! დამფუძნებელი კრების არჩევნებში ხმა მიეცით მაშვრალთა ინტერესების მედგარ დამცველს

9 №.

საღეისო მუსაიფი.

I.

ე შავი მიწა მაინც, რომ
სასყიღლათ არა მქონოდა,
შავ სამარემდინ—რავიცი—
მე რალა დამალონებდა?!.

რ. ერისთავი.

მკითხველმა, უეჭველია, ძალიან კარგათ იცის, რომ გლეხის მესაიდუმლე ჩვენი პოეტი რ. ერისთავი ოთხმოციან წლებში წარსული საუკუნისას ბერუას თავ-ჩაქინდვრასა და უიმედო ჩაფიქრებას ჩაუკვირდა, ყოველი მხრით გამოიკვლია ბერუას ამ ჩაფიქრების მიზეზი და 1883 წ. იმ დასკვნამდი მივიდა, რომ ბერუას უიმედობის აღმძვრელი და სასოსწარმკვეთი დაფიქრების მიზეზი ერთად-ერთი ის გარემოება ყოფილა, რომ მიწა სხვისია, იგი სხვას ეკუთვნის, ბერუა კი ამ მიწას ქირაობს და შრომაც მარტო მისია. პოეტის მოთხრობიდან ცხადათ სჩანს, რომ ბერუა თვით ეძიებს მიზეზს თვისი ცხოვრების უილაჯობისა და გაჭირვებისას და თვითონვე გადაჭრით იმ დასკვნამდი მიდის, რომ იგი არასოდეს დაღრეჯილი და დაღონებული არ იქნებოდა, რომ **მას მიწა სასყიდლათ არა ჰქონოდა დი ღალა მიწისა მას ასცდენოდა.** ბერუას ეს ჩუმი ფიქრები იგრძნო და შეიგნო გლეხის გულის ნადების ზედ-მიწევნით მცოდნე პოეტმა რ. ერისთავმა და მანაც საქვეყნოთ ყველას გვაუწყა, რომ გლეხს არაფერი დააღონებს, იგი უილაჯობას არ იგრძნობს და სასოებასაც არ წარიკვეთს, თუ კი **მიწის ღალა მთესველს ასცილდება და შავი მიწა სასყიდლათ არ ექნება.**

აი, ასე მარტივ დასკვნამდი მივიდა ალალმართალი და გულ-წრფელი პოეტი ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ. პოეტი წინასწარი მოსაზრებით კი არ შესდგომია ამ აზრის დამტკიცებას, არა იგი სრული გულ-უბრყვილობით შეუდგა ამ საქმეს, რათა შეესწავლა და შეემცნო გლეხის ცხოვრება, ამ ცხოვრების ძნელი ვითარება და თვით გლეხის გულის სიღრმიდან ამოეკითხა, თუ რა საშუალებით თვით გლეხი ფიქრობს თავისთავის შველას. პოეტი განზრახული მოსაზრებით როდის შეუდგა ამ კითხვის გამოაშკარავებას: იგი არც სოციალისტი იყო, არც დემოკრატი და არც ვინმე უკიდურესი ზრახვების აღმსარებელი. იგი მხოლოდ გულწრფელი და მართლის მოყვარე მაძიებელი და დამკვირებელი იყო. სწორეთ ამიტომაც პოეტის გამჭრიახი მიხვედრილობა ჩვენთვის ძვირფასი განძია. სწორეთ ამიტომაც ჩვენ სრული გაბედულებით შეგვიძლია აშკარათ ვსთქვათ, რომ პოეტის მიერ ხაქვეყნოთ გამოტანილი აზრი გლეხის შესახებ ეს თვით გლეხის ნაგრძნობი და ნაწრთობი გრძნობა და აზრია. ამიტომაც ეს დასკვნა ჩვენთვის ძვირფასია და ნება გვეძლევა ვსთქვათ, რომ წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში ჩვენს გლეხს შეგნებული ჰქონდა უმთავრესი მიზეზი თვისი დუხჭირი ცხოვრებისა და ეს მიზეზი მას ცხადსა და მარტივ ფორმებში ჰქონდა ჩამოყალიბებული: მიწას სასყიდლათ ნუ გამიხდით და ნურც მიწის ღალას გადამახდევინებთო; ასეთ შემთხვევაში დაღრეჯილობას არ ვიგრძნობ, რადგან ჩემ ცხოვრებას თვითვე გავამხიარულებ და გავაბედნიერებო. ეს ჭეშმარიტი და საღი შეხედულება შეიგნო და წარმოსთქვა კიდეც გლეხმა. თუ წარმოსთქვა, მაშასადამე, თვისი თავიც დააჯერა, რომ იმის კეთილ-დღეობისათვის მიუცილებლათ საჭიროა ამ ჭეშმარიტების ცხოვრებაში გატარება და განაღდება. ეს კი თავისთავათ გულისხმობდა სოციალური ცხოვრების სრულ გარდაქ-

---

სია საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის

კანდიდატებისა დამფუძნებელ კრებაზე.

№ 9

1. ფანცხავა იაკობ სპირდონსძე—საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი.
2. წერეთელი ალექსანდრე იოსებისძე—პარლამენტის წევრი, თფილისის საბჭოს წევრი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი.
3. იოსელიანი ალექსანდრე იასონისძე—რკინის გზის მუშათა პროფესიონალური კავშირის სექციის წევრი.
4. ჯანდიერი გიორგი ილარიონისძე—საზოგადო მოღვაწე, მსწავლული მეურნე.
5. სულთანიშვილი გიორგი ივანესძე—ტრამვაის მუშა.
6. ვარაზაშვილი ისიდორე სოფრომისძე—საზოგადო მოღვაწე.
7. ფხაკაძე ივანე ფილიპესძე—სასამართლოს მოღვაწე.
8. სტურუა ანტიოხ ივანესძე—საზოგადო მოღვაწე, მესტამბე.
9. გერსამია სერგო ლუკასძე—საზოგადო მოღვაწე.
10. უსტიაშვილი ნიკოლოზ იაკობისძე—რკინის გზის მუშა.
11. ჯაფარიძე ალექსანდრე მალაქიასძე—იურისტი.
12. კვერეხაძე ერმალოზ ივანესძე—ტრამვაის მუშა,
13. აბრამიშვილი მიხეილ ვლადიმირისძე—მასწავლებელი.
14. დოლიძე ნიკოლოზ ალექსანდრესძე—მუშა.
15. კვირკელია პლატონ მელქისედექისძე—მასწავლებელი.
16. ჩომახიძე ერასტი გაბრიელისძე—კონდუქტორი რკინის გზის.
17. ლეჟავა ნიკოლოზ რომანისძე—ინჟენერი.
18. ლორთქიფანიძე ვარლამ სპირდონისძე—ფარმაცევტი.
19. მხეიძე ალექსანდრე სამსონისძე—პროვიზორი.
20. დგებუაძე ნინო ფარნაოზის ასული—მასწავლებელი.
21. კიკვაძე ლონგინოზ ლავრენტისძე—მასწავლებელი.
22. ნიჟარაძე რაჟდენ ფარნაოზისძე—სოფლის მეურნე.
23. ბაქრაძე მიხეილ მალაქიასძე—
24. ბოკერია მიხეილ ივანესძე—მოხელე.
25. ჭანტურია გიორგი პავლესძე—მასწავლებელი.
26. დოლიძე დომენტი მაქსიმესძე—მუშა.
27. ჩიკვაიძე გრიგოლ მეთოდესძე—მუშათა და ჯარის კაც. ხან. წევრი.
28. ქავთარაძე შუშანიკა ფარნაოზის ასული—მასწავლებელი.
29. დათეშიძე ნიკიფორე ალექსისძე—მუშა.
30. კევლიშვილი ევსევი გიორგისძე—ტრამვაის მუშა.
31. ჩიქოვანი თეოფანე საბასძე—პროვიზორი.
32. ქავთარაძე გრიგოლ იოსებისძე—მუშა.
33. ბარათაშვილი კარპეზ ფარნაოზისძე—ფარმაცევტი.
34. ჩიკვაიძე ნადეჟდა მიხეილის ასული—
35. იაშვილი დავით ქაიხოსროსძე—სტუდენტი, პარტიული მუშა.
36. ხუციძე გალაქტიონ უფლისასძე—ფარმაცევტი.
37. კოპლაძე იოსებ გრიგორისძე—დეპოს მუშა.
38. ლორთქიფანიძე გიორგი სიმონისძე—მუშა.

მნას. და გულუბრყვილო გლეხიც ფიქრობდა, რომ რაკი ეს ჭეშმარიტება ახალ ფორმაშია ჩამოყალიბებული და საქვეყნოთ წარმოთქმული, ამიტომ იგი განხორციელდებოდა და გლეხს სანუკველი ნატვრა შეუსრულდებოდა. მაგრამ გულ-უბრყვილო და ალალ-მართალმა გლეხმა მაშინ როდი იცოდა, რომ გაბატონებული კლასები, რომელთ ინტერესებს სდარაჯობდა თვით-მპყრობელი მეფეების ბევრ-მილიონიანი შეიარაღებული ჯარი, ამ მცირე მოთხოვნილებას არ შეუსრულებდენ. ამ მოლოდინის ხანმა თითქმის ოცი წელიწადი მოინდომა. ამ ხანში გლეხობა მოელოდა და იმედიც ჰქონდა, რომ ამ იმედს აუსრულებდენ გაბატონებული კლასები, შეგნებული და განათლებული საზოგადოება და, რასაკვირველია, თვით-მპყრობელი მეფეებიც. ამავე დროს იგი თვისი ცდითა და გამრჯელობითაც ლამობდა ამ სანატრელის განხორციელებას: იგი ფიქრობდა, რომ გაასკეცებული შრომით ორიოდე გროშს გადირჩენდა, ამ გადარჩენილი გროშებით მიწას ყიდულობდა და ამით თვისი საწადელის ერთ მხარეს აღწევდა: მიწის ლალას თავიდან იცილებდა. მაგრამ, კარგათ ვიცით, ეს თვისი თავის მოტყუილება იყო, რადგან ამ გზით სოციალური ცხოვრების გარდაქმნა არასოდეს მომხდარა.

მართლაც, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულებში, გლეხი იმ შეგნებამდი მივიდა, რომ მას თვისი, სულ მცირე, როგორც თითონ ფიქრობდა და უბრალო მოთხოვნილები არ დაკმაყოფილდებოდა, თუ მდგარსა და თავდაუზოგველ შებრძოლებას არ გააჩაღებდა. მართლაც ამ ხანში ჩვენ ვხედავთ, რომ გლეხობა ცხადად გამოერკვია და აშკარა ბრძოლა დაიწყო თვის ზრახვის განსახორციელებლად. ეს გლეხობა ძმურად გვერდში ამოუდგა ქალაქის მუშას და მასთან ერთათ ისიც იბრძოდა, რათა ცხოვრების პირობები გარდაექმნა: მიწის ლალა არ გარდახდოდა და მიწაც სასყიდლათ არ ჰქონოდა. ამ ტიტანურმა ბრძოლამ ჩვიდმეტი წელიწადი გასტანა, ბევრი სასოწარკვეთილება გამოიწვია, ბევრი მსხვერპლიც შეიწირა, მაგრამ გამარჯვება ბოლოს მებრძოლთ ერგო: დაემხო ძველი წესწყობილება, მიყუჩდენ გაბატონებული კლასები, გლეხობამ კი თვისი მომავალი სვე თვის არჩეულებს მიანდო. ეს არჩეულები პარლამენტში წამოიჭიმენ და ამ წლის დამდეგს, დამფუძნებელი ყრილობის იოწვევის წინ, გლეხობას ნობათათ მისთავაზეს: მიიღეთ მიწა სასყიდლათ და მიწის ლალაც იხადეო; ეს არის რევოლიუციის მონაპოვარი და ასეთი წვითა და დაგვით მონაპოვარს ხომ დაცვა და შენახვა უნდაო!! დაცინვა იქნებოდა და განა ასეთი?!

დღეინდელი ვითარების მიხედვით შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ იმ გლეხობამ, რომელმაც ამ ოცდათუთხმეტი წლის წინათ შეიგნო უმთავრესი მიზეზი თვისი სიბეჩავისა და რომელმაც თვისი გონიერი გულბოყვი ააზვირთა მხოლოდ იმიტომ, რომ მიწის ლალა არ გადაეხადა და მიწაც სასყიდლათ არა ჰქონოდა,— დღეს თავი ჩაქინდროს და ჩუმათ, უსიტყვოთ დამორჩილდეს ამ ახლათ მოვლენილ ვაჟ-ბატონებს, რომელთ გლეხს იმედი გაუწბილეს და ზრახვა იმისი არაფლათ მიიმჩნიეს, გლეხს თავი უკან აკრევინეს, მას ამდენი ტანჯვა და ბრძოლა გაუნიავეს და ცინიკური დაცინვით ეუბნებიან: ჰა, დასტკბი რევოლიუციის მონაპოვარით!! ეს მონაპოვარი კი ის არის; რომ ჩვენ მიერ ნება გეძლევა მიწა იყიდო და მიწის ლალაც გადაიხადოო!!. არა მგონია, რომ სადმე, როდისმე ვისმე გაბედოს და ასე უკუღმა შეეტრიალებიოს ბეჩავთა და მაშვრალთა მისწრაფება. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ამ ვაჟ ბატონებმა უნდა პასუხიც აგონ ისეთი მუხანათობისათვის...

წამს შევჩერდეთ და ვიკითხოთ, ვინ არიან ეს ვაჟ-ბატონები? ესენი ხომ „ფიციით მტკიცით“ არწმუნებდენ ამრჩევლებს, გლეხებს, რომ სოციალისტები ვართ, მარქსის მოძღვრების მიმდევარნიო. ეს ფიცი სწამდა გლეხობას და ამიტომაც ამან ესენი აირჩია. დღეს კი ამათ ნამოქმედარს რომ უკვირდები, აღარ იცი, ვინ არიან ესენი?! სოციალისტები?! ეს ამათთვის ყოვლად შეუფერებელი სახელია. მარქსისტები?! ეს ხომ მარქსის სახელის წაბილწვა იქნება, რადგან მარქსი სასოფლო მეურნეობაში მოითხოვდა მსხვილ მიწათ-მფლობელობას, რათა წარმოება განვითარებულ იყო და გაასკეცებული იყო, რადგან მხოლოდ ეს გზა მსხვილი მიწათ-მფლობელობა, მარქსის წარმოდგენით, ხელს შეუწყობდა სამეურნეო წარმოების განვითარებასა და გაასკეცებას დი, მაშასადამე, ერის უმრავლესობის კეთილ-დღეობასაც. ეს ვაჟ-ბატონები კი წვრილ მესაკუთრეობას ამტკიცებენ. მაშ ვინღა არიან ესენი? მთელი პოლიტიკური ეკონომია რომ გადაათვალიეროთ და გაითვალისწინოთ, ვერსად იპოვით სოციალისტური მოძღვრების ოდნავ ამოსარებელს, რომ ამ აზრს იზიარებდეს. შეგხვდებათ მხოლოდ ერთადერთი სისმონდი, შვეიცარიელი ეკონომისტი, რომელიც შეფრფვინით უმღერიდა წვრილ მესაკუთრეობას და რომელმაც განუტევა ეს ქვეყანა წარსული საუკუნის ორმოციან წლების დამდეგს (1842 წ.)—ეს სისმონდი იყო პირწავარდნილი ლიბერალი და სოციალისტები, მოსოციალისტენიც კი, ჩვენებურ ნაციონალ-დემოკრატებივით, ძაგდა და ეჯავრებოდა. ამ სისმონდის აზრს შემდეგ ავრცელებდა მეორე ეკონომისტი ჯ. სტ. მილი. ესეც, რასაკვირველია, უალრესი ლიბერალი იყო. ამათგან, დიადი სწორეთ შემდეგ რუსეთის „ტეტიათა მოტრფიალებმა“ ისესხეს ეს თფილი ტრფიალი წვრილ მესაკუთრეთადმი და სამოცდაათიან წლებში ამ ქადაგებას ფტლათ დაედვენ. ახლა, მაშასადამე, ჩვენ ცხადათ ვხედავთ, ჩვენი პარლამენტის უმრავლესობა არც მარქსისტები და არც სოციალისტები ყოფილან, არამედ ესენი ყოფილან სისმონდისა და მილის პირწავარდნილი მიმდევრები და რუსეთის ნაროდნიკების აზრების ჩვენში გამტკიცებელნი.

რა გზით-ღა შეიძლება ამ მუხანათების ამ ჟამათ დასჯა და რა გზითღა შეიძლება ამათგან წამხდარი საქმის გამობრუნება ამ ხანათ, ამ წუთში ერთად-ერთი-ღა გზაა: ეს ის არის, რომ გლეხობამ, მიწის მუშამ სამაგიერო გადაუხადოს ამ მუხანათებს, ამ გამცემლებს და დამფუძნებელი ყრილობის წევრებათ მხოლოდ ისინი აირჩიოს, ვინც გულის სიღრმემდი შეიგნო გლეხის ზრაღვა, ვინც არ უმუხთლებს მას და სასაკილოთა და სამასხაროთ არ მიიმჩნევს გლეხების სანადელოს, ვინც ცხოვრებაში გაატარებს, რომ მიწის მუშამ მიწის ღალათ არ გაიღოს არც ერთი კაკაპეიკი არც კერძო პირისა, არც რომელიმე კლასისა და არც თვით სახელმწიფოს სასარგებლოთ, რა გინდ ათასგვარი სოფიზმებით არ უნდა იყოს დადასტურებული ამ ღალის საჭიროება. მიწის მუშამ მიწა უნდა მიიღოს უსასყიდლოთ, რადგან მიწის სყიდვა-გაყიდვა ბოროტება, ადამიანის დასაბეჩავებლათ გამოგონებული და გაბატონებული კლასების მიერ გამტკიცებული.

ამ მისწრაფებას მიწის მუშისას მხარი უნდა დაუჭიროს ქალაქის მუშამაც, რადგან ჩვენში ჯერ-ჯერობით უკანასკნელი მჭიდროთ არის შეკავშირებული პირველთან, აგრეთვე იმიტომაც, რომ ქალაქის მაშვრალის ბედიც მტკიცეთ იქნება უზრუნველყოფილი, თუ კი სოფლის მაშვრალი კეთილ-დღეობას განიცდის, რადგან, მხოლოდ ასეთ პირობაში ქალაქის მაშვრალი შეინარჩუნებს მაღალს დღიურ ქირას, რადგან მას მეტოქეთ აღარ ეყოლება გაჭირვებული სოფლის მუშა, სოფლიდან გამოქცეული და ქალაქში ბედის მაძიებელი.

ამ მოსაზრებათა მიხედვით სოფლისა და ქალაქის მაშვრალი უნდა შეერთდეს და ყოველი ღონე იღონოს, რომ დამფუძნებელი ყრილობის წევრათ არ გაგზავნეს [illegible] ლი პარლამენტის უმრავლესობა [illegible]. სოციალ-დემოკრატია. [illegible] საზრებით აღჭურვილი სოფლისა და ქალაქის მაშვრალი იძულებულია მხარი დაუჭიროს და ხმა მისცეს ერთად ერთს მისი ინტერესების დამცველს მემარცხენე სოციალ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიას. ეს იქნება მოქალაქის ვალდებულების გონივრულათ შესრულება და პასუხიც იმ პარტიისადმი, რომელმაც მაშვრალთ ასე ცხადათ უმუხთლა. ვიცოცხლოთ და ველოდეთ...

ტიბერიელი

ვისაც, მართლაც უყვარს მშრომელთა კეთილდღეობა, ვისი რწმენაც დაკავშირებულია მჭიდროდ სოციალიზმთან, ვის სულსა და გულს ჭეშმარიტად ატოკებს მაშვრალთა ბედ-იღბალი, იგი დამფუძნებელ კრებაზე ხმას მისცემს მხოლოდ მემარცხენე სოც.-ფედ. მაშვრალთა პარტიის სიას

№ 9.

პარტიულ ორგანიზაციებს!

მმხანაგებო! დაუყოვნებლივ გაგზავნეთ წარმომადგენლები დამფუძნებელი კრების სასოფლო, სარაიონო, საქალაქო და სამაზრო კომისიებში. იცოდეთ, არც ერთი კომისია არ დაგრჩეთ. გააცხოველეთ მუშაობა. შეამზადეთ ხილხი, რათა მან ხმა მისცეს მუშათა სიას № 9-ს.

ჩვენი ბიულეტენები დაურიგდება სამაზრო კომისიებს. თქვენ მოითხოვეთ ეს ბიულეტენები და დაუყოვნებლივ დაარიგეთ, ხოლო სადაც ეს არ შეიძლება, შეეცადეთ, რომ კომისიებმა ჩვენი ბიულეტენები უეჭველად დაარიგოს.

მუშაობა, ამხანაგებო!

მთავარი საარჩევნო კომიტეტი

ახალი ამბავი.

დენიკინის მომხრენი. კადეტების პარტიის ბიუროში განოვის ქუჩაზე მოხალისეთა რაზმში ჩაწერა მოსპობილ იქმნა და პლაკატი ჩაწერის მოწოდებისა ჩამოღებულ იქმნა.

დამფუძნებელი კრების ცენტრალურ კომისიაში. დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიამ დაადგინა: 1) უარყოფილ იქმნეს დამატებითი სიების შედგენა ამომრჩევლებისა, 2) მიღებულ იქმნეს ყოველგვარი ზომები სიების ნაკლის შესასწორებლათ, როგორიც არის მაგალითათ არევა გვარებისა, სახელის, მამის სახელის, მისამართისა და სხვ. ქ. თბილისისათვის აწესრიგებს.

რედიქტორ-გამომცემელი
საredაქციო კოლეგია.

ტამბა „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის“, გოლოვინის ქუჩ. ტელ. 4—73.